სარევიზიო კომისიის ანგარიში (12.12.2020) ბაფის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო დელეგატებო, გაგაცნობთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის შემოწმების ანგარიშს, რომელიც ჩატარდა სარევიზიო კომისის მიერ (მარეხ ტოგონიძე, ხათუნა ბარბაქაძე, მზია ცოფურაშვილი) და მოიცავდა 2020 წლის 20 ნოემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრის პერიოდს. შემოწმების ობიექტს წარმოადგენდა:

- ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები და გამგეობის საქმიანობა
- კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესრულება
- შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობა და დაგეგმილ ბიუჯეტთან შესა-ბამისობა.

შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ბაფის საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება. ჩატარებული რევიზიის შედეგების მიმოხილვა:

1. **ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა და გამგეობის სამიანობა**

ბაფი წესდების შესაბამისად საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე.

გამგეობის საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარე-ბულია გამგეობის 13 სხდომა. სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ:

- კომიტეტების შემადგენლობისა და დებულებების განახლება, კომიტეტების სამოქმედო გეგმების განხილვა და დამტკიცება;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავება
- 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- წევრებთან ონლაინ ფორმატში პერიოდული შეხვედრების ჩატარების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილება
- ზედამხედველობის სამსახურთან" საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ცვლილე-ბების პროექტებზე მსჯელობა და გამგეობის პოზიციის შეთანხმება.

გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობიდან აღსა-ნიშნავია: კომიტეტების შემადგენლობისა და დებულებების განახლება; კომიტეტების სამოქმედო გეგმების დამტკიცება; დისციპლინარული მოკვლევის თემაზე სემინარების ჩატარება; რეგისტრირებული აუდიტორების და აუდიტორთა რეესტრში არარეგისტ-რირებული სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი სწავლების პროგრამის გამიჯვნა; 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მიღება და სხვა.

შესწავლილი მასალების საფუძველზე ირკვევა რომ სხდომებზე მიღებული დად-გენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას დადებითად აფასებს.

2. **კომიტეტების საქმიანობა.**

კომიტეტების საქმიანობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „კომიტეტების საქმიანობის შესახებ“ დებულება, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის გამგეობის მიერ დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

განათლების კომიტეტი: განახლებული სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად, ბაფის განათლების კომიტეტი აღარ ასრულებს აღმასრულებელის ფუნქციას. იგი გახდა სასერტიფიკაციო პროგრამის და განგრძობითი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კომიტეტთან ფუნქციონირებს:

ა) განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო;

ბ) სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო;

გ) სასერტიფიკაციო პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო.

დ) მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია;

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა პროფესიული სერტიფიცირებისა და განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები და განხორციელებული საქმიანობების შესახებ საოქმო ჩანაწერები, **საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომიტეტის 12 სხდომა.**

განათლებისა კომიტეტის საქმიანობა შესაბამისობაშია დამტკიცებულ მარეგულირებელ დოკმენტებთან, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გადამზადების, პროფესიული სერტიფიცირებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა.

სარევიზიო კომისის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

საწევროო კომიტეტის შემოწმების პერიოდში შესწავლილი იქნა მოქმედი დებულებების მოთხოვნების განხორციელების ფაქტიური მდგომარეობა, კერძოდ:

წევრებთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, საწევრო კომიტეტის დებულება, ბაფის წევრად მიღების, წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები);

საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით გაზრდილია ნამდვილი წევრებისა და კორპორაციული წევრების საწევრო გადასახადების დაფარვის მაჩვენებელი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო: ფიზიკური პირი 7259 წევრი აქედან: სერტიფიცირებული ბუღალტერი 713 წევრი, მათ შორის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული 323 წევრი; ასოცირებული წევრი - 6546 წევრი. იურიდიული პირი - 55 აუდიტორული კომპანია.

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

აუდიტის ხარისხის კომიტეტი: დებულების მიხედვით კომიტეტის ძირითად ფუნქციას შეადგენს წევრ კომპანიაში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი (დიაგნოსტიკის ანგარიში) და კორპორაციულ წევრებისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერა, კონსულტაციები, სემინარები, აუდიტის პროგრამის შერჩევა, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვა. ბაფი ხარისხის სისიტემის წინასწარ მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიებში, რომლებიც ამის სურვილეს გამოხატავენ.

საანგარიშო პერიოდში (2019-2020)ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი ჩაუტარდა და „დიაგნოსტიკური ანგარიში" გაიცა 6 კორპორაციულ წევრზე;

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი საანგარიშო პერიოდში განახლდა და დამტკიცდა კომიტეტის დებულება, ასევე განხორციელდა დისციპლინარული მოკვლევის შესაბამისი პროცედურები, რის მიხედვით: კომიტეტი შეისწავლის პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს. გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას. საანგარიშო პერიოდის საოქმო ჩანაწერების მიხედვით ბაფის წევრი პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე მიღებული ინფორმაციების საფუძველზე ერთ-ერთ საქმეზე განხორციელდა დისციპლინარული მოკვლევა და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.
სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოილებლად შეფასადა.

საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი. საანგარიშო წლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა რომ ბაფში, პერიოდულად წერილობით შეკითხვების პასუხებს იხილავს კომიტეტი და შესაბამისად ხდება მისი გამოქვეყნება ბაფის ყოველთვიურ ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა" კომიტეტის წარმომადგენელი (თავჯდომარე) სისტემატურად და აქტიურად მონაწილეობს სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან გამართულ დისკუსიებში. კომიტეტის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (რადგანაც სამუშაო სისტემატურად ყოველდღიურად მიმდინარეობს) დამკვიდრებული პრაქტიკით საოქმო ჩანაწერები არ იწარმოება.

გამოქვეყნებული და არსებული მასალების საფუძველზე სარევიზიო კომისიის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტის საქმიანობის ძირითად ფუნქციაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა. კომიტეტი ამ კუთხით აქტიურად მუშაობს და ბაფში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ შემოსულ კითხვებს ამუშავებს და პასუხუბს მათ. აგრეთვე აქტიურად არის ჩართული განგრძობითი სწავლების პროგრამაში და ტრენინგებში, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სასწავლო პროგრამის შედგენაში.

სარევიზიო კომისიის მიერ შესწავლილი იქნა სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტის დებულება, სამოქმდო გეგმა და შესამოწმებელ პერიოდში განხოციელებული საქმიანობები. აღსანიშნავია, რომ არ ხდება კომიტეტის საქმიანობის საოქმო ჩანაწერების წარმოება, რაც მიგვაჩნია, რომ უნდა კეთდებოდეს. კომისი-ის მიერ, კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

3. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნების შესრულება

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია. წევრების შესაბამისობის პროგრამის (SMO) ფარგლებში. IFAC-ის წევრები ატარებენ თვითშეფასებას SMO მოთხოვნების შესაბამისად და ავლენენ იმ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგების საფუძველზე, წევრები შეიმუშავებენ SMO სამოქმედო გეგმას, რათა აჩვენონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი SMO მოთხოვნებს და თუ ზოგიერთი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, წარმოადგინონ მათი შესრულების გეგმები.

წევრობის შესაბამისობის პროგრამის (SMO) მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განახლდა ბაფის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც განთავსებულია ბსფ-ის ვებგვერზე.

4. აღმასრულებელი სტრუქტურა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება

ბაფის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. წარმოადგენს ბაფს მესამე პირებთან ურთიერთობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვის სფეროში, ადგენს ბიუჯეტს და ახორციელებს ფინანსურ და ბიზნეს ფუნქციებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. აღმასრულებელი სტრუქტურა, სრულყოფილი მართვისა და ფუნქციების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ხელმძღვანელობს გამგეობის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით „ბაფის თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ". დოკუმენტში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები,

გამიჯულია. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდისა და ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება ბაფის ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგებები.

დასკვნის სახით, სარევიზიო კომისიას მიაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვის სფერო და შიდა კონტროლის სისიტემა გამართულია და დადებითად აფასებს.

5. ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა

საანგარიშგებო პერიოდისათვის დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, მოცემულია 2019 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები".

აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან.

შემოწმების შედეგების შეფასება

საანგარიშგებო პერიოდში ბაფის გაწეული საქმიანობა სარევიზიო კომისის მიერ შეფასდა დადებითად.

სარევიზიო კომისიის წევრები:

1. მარეხი ტოგონიძე (თავმჯდომარე)
2. ხათუნა ბარბაქაძე
3. მზია ცოფურაშვილი